



GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

საქართველო ჩრდილო კავკასიაში: გამოწვევები და
სამომავლო პერსპექტივები

ალექსანდრა კვანცია

98

ექსპერტის აზრი





საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

ალექსანდრე კვასაძე

**საქართველო ჩრდილო კავკასიაში: გამოწვევები და
სამომავლო პერსპექტივები**

98

2018



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2018 წელი

ISSN 1512-4835

ISBN 978-9941-8-0052-8

ჩრდილო კავკასია წარმოადგენს საქართველოს სამეზობლოში ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ და ფეთქებადსაშიშ რეგიონს, რომელში მიმდინარე მოვლენებსაც პირდაპირი თუ ირიბი ზეგავლენა აქვთ სამხრეთ კავკასიაზე. საქართველოს საზღვარი აქვს ექვს ჩრდილოკავკასიურ სუბიექტთან, რაც შეუძლებელს ხდის მეზობელი ხალხებისგან მის იზოლაციას. მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილო კავკასია არის რუსეთის ფედერაციის ნაწილი, უკანასკნელი სამი ათწლეული ცხადყოფს, რომ რეგიონში მიმდინარე პროცესები ამოგლეჯილია რუსეთის შიდა პოლიტიკური კონტექსტიდან. გარდა ამისა, ისტორიულად ჩრდილო კავკასიაში არსებული კონფლიქტები ხასიათდება საზღვრებს გარეთ გავრცელებისა და სამხრეთ სამეზობლოზე ზემოქმედების უნარით. ამ გარემოებებს დამატებული ჩრდილო კავკასიელებთან არსებული გეოგრაფიული სიახლოვე და ეთნოკულტურული კავშირები საქართველოსთვის ქმნის აუცილებლობას, რომ რეგიონიდან მომდინარე რისკების შესამცირებლად ჰქონდეს კარგად დაბალანსებული ჩრდილოკავკასიური პოლიტიკა.

საბჭოთა პერიოდში საქართველო პოლიტიკურად შეზღუდული იყო და მოსკოვისგან დამოუკიდებლად არ შეეძლო მეზობელ რეგიონებში ეროვნული ინტერესების გატარება. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს ხელისუფლებებმა რამდენჯერმე სცადეს ჩრდილოკავკასიელ ხალხებთან ურთიერთობის პოლიტიკის შემუშავება. პირველი იყო პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, რომელსაც ჯერ კიდევ დისიდენტობის წლებიდან მოყოლებული ჰქონდა კარგი ურთიერთობა ჩრდილოკავკასიელ ნაციონალისტ აქტივისტებთან. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის პირველი პრეზიდენტი ჯოხარ დუდაევი იყო, რომელმაც 1992 წელს დევნილი გამსახურდია შეიფარა. დუდაევი იზიარებდა 'კავკასიური სახლის' გამსახურდიასეულ იდეას. ამისდა მიუხედავად, ეს კონცეფცია არ მოიცავდა შორს მიმავალ სტრატეგიულ დაგეგმვას და საფუძვლად მხოლოდ პატრიოტული რიტორიკა და სენტიმენტები ედო. ამას დაემატა ყვარლის რაიონში ქართველებსა და ხუნძებს შორის მომხდარი შეტაკებები და გამსახურდიას რეპუტაცია დაღესტანში მნიშვნელოვნად შეირყა¹. გამსახურდიას ავტორიტეტი არც 1992-1993 წლებში აფხაზეთის ომში ჩრდილოკავკასიელი ბოევიკების ნაკადის შესაჩერებლად აღმოჩნდა საკმარისი.

საქართველოში 1992 წლის სამხედრო გადატრიალებამ მკვეთრად შეცვალა დამოკიდებულება ჩრდილოეთ კავკასიის საკითხის მიმართ. ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებამ ჩრდილოკავკასიური პოლიტიკა უარყო, როგორც ზვიად გამსახურდიას მემკვიდრეობა. სკეპტიციზმი ამ მიმართულებით გაიზარდა აფხაზეთის ომში ჩრდილოკავკასიელთა მონაწილეობის გამოც. თუმცა ჩეჩნეთის ომისას ქართულ-ჩრდილოკავკასიური კონტაქტები გარდაუვალი გახდა, რამაც ოფიციალურ თბილისს ჩეჩნეთის დე ფაქტო ლიდერთან ურთიერთობების დამყარებისკენ უბიძგა. ამ ურთიერთობების ფარგლებში 1997 წელს იჩქერიის ლიდერმა ასლან მასხადოვმა მოინახულა თბილისი და შეხვდა პრეზიდენტ შევარდნაძეს². ამავე წლებში საქართველოს პარლამენტში შეიქმნა ჩრდილოკავკასიელ ხალხებთან ურთიერთობის საკოორდინაციო საბჭო, რომლის მიზანიც იყო ჩრდილო კავკასიელებთან ურთიერთობების დამყარება³. მცდელობისდა მიუხედავად, ამ ნაბიჯებს რაიმე თვალსაჩინო შედეგები არ მოჰყოლია. ამის საპირისპიროდ, 90-იანი წლების ბოლოს საქართველო სრულიად მოუმზადებელი დახვდა ათასობით ჩეჩენი დევნილის შემოსვლას, რის შედეგადაც პანკისის ხეობა შეიარაღებული ჯიჰადისტი მებრძოლების, ნარკოვაჭრობისა და ადამიანების გატაცების ცენტრად იქცა. საქართველოს ხელისუფლებამ მხოლოდ 2003 წლის სექტემბერში შეძლო ხეობაში სრული კონტროლის დამყარება. მეტიც, ჩეჩენი მებრძოლების უკანონო ექსტრადიციის რამდენიმე შემთხვევამ მნიშვნელოვნად ავნო საქართველოს იმიჯს ჩეჩენთა თვალში.

2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდგომ საქართველოს ჩრდილოკავკასიური პოლიტიკა შეიძლება დაიყოს ორ – აგვისტოს ომამდელ და ომის შემდგომ – ფაზად. 2008 წლამდე საქართველოს ხელისუფლება ცდილობდა ჩრდილო ოსეთში მცხოვრებ ოს პოლიტიკურ აქტივისტებთან კავშირის დამყარებას, სხვა რეგიონებს კი ყურადღება არ ექცეოდა. მეტიც, პრეზიდენტმა სააკაშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოს არ სჭირდება მეგობრობა ჩეჩენ მებრძოლებთან, რითაც ასლან მასხადოვის მშვიდობიან განცხადებას უპასუხა⁴. 2008 წლის რუსულმა აგრესიამ და მასში „ვოსტოკისა“ და „ზაჰადის“ სახით ჩეჩენური დანაყოფების მონაწილეობამ საქართველო ჩრდილო კავკასიის ხალხებთან ახლო ურთიერთობების დამყარების აუცილებლობის წინაშე დააყენა. ამ მოვლენებმა კარდინალურად შეცვა-

ლა საქართველოს ხელისუფლების მიდგომები, რასაც ჩრდილო კავკასიაზე გათვლილი რამდენიმე პროექტის შემუშავება მოჰყვა. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო პირველი კავკასიური ტელევიზიის („პიკ ტი-ვი“) შექმნა, ჩრდილო კავკასიის მცხოვრებლებისთვის ცალმხრივი უვიზო რეჟიმის შემოღება, ჩრდილოკავკასიელი სტუდენტებისთვის ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში სასტიპენდიო პროგრამების შემუშავება, საქართველოს პარლამენტში დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის ჩამოყალიბება და რამდენიმე კავკასიური სამეცნიერო-პოლიტიკური კონფერენციის ჩატარება. თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჩერქეზებთან ურთიერთობების აღდგენის მცდელობა. ამ მიზნის მისაღწევად 2011 წლის 20 მაისს საქართველომ ცნო ჩერქეზთა გენოციდი, თბილისში გახსნა ჩერქეზული კულტურის ცენტრი და ანაკლიაში აღმართა ჩერქეზთა გენოციდის მემორიალი. ამ ინიციატივით თბილისმა შეძლო ორი კურდღლის დაჭერა: პირველი, ქართულ-ჩერქეზული ურთიერთობები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა; მეორე, ქართულ-ჩერქეზულმა დაახლოების პროცესმა წარმოშვა დაპირისპირება ჩერქეზ ნაციონალისტებსა და აფხაზ სეპარატისტებს შორის. ამ ყველაფრის კულმინაცია იყო აფხაზეთის ომის ვეტერანი ჩერქეზის – აცმიჟ ჰილიმის მიერ აფხაზეთის ე.წ. მოქალაქეობაზე უარის თქმა⁵. მეტიც, აფხაზეთის ომის ერთ-ერთი საკვანძო საველე მეთაური იბრაჰიმ იაგანოვი თბილისის ხშირი სტუმარი გახდა და სულაც საქართველოს საკითხს აფხაზ ნაციონალისტებთან დისკუსიისას განიხილავდა⁶.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ჩრდილოკავკასიური პოლიტიკა აღარ არის საქართველოს პრიორიტეტი. ახალი ხელისუფლების ერთ-ერთი პირველი ღონისძიება იყო ტელეკომპანია „პიკის“ დახურვა. ამ ნაბიჯის მიზეზი შესაძლოა ყოფილიყო ოფიციალურ მოსკოვთან ურთიერთობების ნორმალიზების მცდელობა, რის გამოც რუსეთისათვის გამაღიზიანებელი ჩრდილოკავკასიური ფაქტორის გვერდზე გადადება გახდა საჭირო. მეორე მხრივ, საქართველოს ხელისუფლებამ უკან არ წაიღო ჩერქეზთა გენოციდის აღიარება და არ დახურა ჩერქეზული კულტურის ცენტრი. მეტიც, დაფიქსირდა რამდენიმე მცირე სიმბოლური ინიციატივა, მაგალითად, თბილისის ერთ-ერთ გარეუბანში ქუჩას ინგუშეთის სახელი ეწოდა.

ჩრდილო კავკასიაში არასტაბილურობა საქართველოსთვის რამდენიმე რისკს შეიცავს. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია საერთაშორისო ტერორიზმის საფრთხე. პირველი ჩეჩნეთის ომის შემდეგ მთელი ჩრდილო კავკასიის მასშტაბით გავრცელდა ჯიჰადის იდეოლოგია. მეტიც, რუსეთის ხელისუფლების მონაცემებით, ჩრდილო კავკასიის რამდენიმე ათასი მკვიდრი მონაწილეობს სირიისა და ერაყის კონფლიქტებში⁷.

ყოველივე ეს საქართველოსთვის ორმაგ რისკს შეიცავს. ერთი, ჩრდილოკავკასიელ მეზობლთა საქართველოს გავლით ტრანზიტს შეუძლია მნიშვნელოვნად შეარყიოს საქართველოს საერთაშორისო რეპუტაცია ან გამოიწვიოს აჯანყებულთა და სამართალდამცავთა შორის შეტაკებები. 2012 წლის აგვისტოში ლოპოტის სპეცოპერაცია და 2017 წელს შეტაკება აჰმედ ჩატაევის დაჯგუფებასთან თბილისის გარეუბანში ამგვარი საფრთხის ნათელი მაგალითია. აგრეთვე, ჩრდილოკავკასიურ ჯიჰადისტურ დაჯგუფებებს შეუძლიათ საქართველოს მუსლიმი მოსახლეობის რადიკალიზაცია. მაგალითად, პანკისის ხეობის მკვიდრთა მონაწილეობა სირიის კონფლიქტში გამონვეულია ჩრდილოკავკასიელ აჯანყებულებთან ხანგრძლივი ურთიერთობით, რომელიც 2000-იანი წლების დასაწყისში დაიწყო. მეტიც, საქართველის მონაწილეობამ ავღანეთის ISAF-ში, შესაძლოა, ტერორისტული თავდასხმის სავარაუდო ობიექტების დიაპაზონი გაზარდოს. გარდა ამისა, რუსეთს შეუძლია გამოიყენოს საქართველოში ჩრდილო კავკასიელთა ყოფნა საქართველოს შიდა პოლიტიკაში უფრო აქტიური ჩარევისთვის.

რაც შეეხება მეორე რისკს, რუსული პროპაგანდა დიდი ხანია ცდილობს ჩრდილოკავკასიელ ხალხებში ანტიქართული განწყობების გაღვივებას მათი საქართველოს წინააღმდეგ გამოყენების მიზნით. ჰიბრიდული ომის ფარგლებში რუსეთს შეუძლია ჩრდილოკავკასიელი ბოევიკების მობილიზაცია და მათი გამოყენება თავისი სამხედრო ოპონენტის წინააღმდეგ ისე, როგორც ეს გააკეთა საქართველოში, უკრაინასა თუ სირიაში. მოსკოვი ასევე წლებია ლობირებს აფხაზეთისა და ცხინვალის სეპარატისტულ რეჟიმებს ჩრდილოკავკასიელი პოლიტიკური და ნაციონალისტი აქტივისტების გამოყენებით. მაგალითად, ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკების ლიდერები სისტემატურად სტუმრობენ ოკუპირებულ რეგიონებს და გამოხატავენ მხარდაჭერას „ახალი სახელმწიფოების“ მიმართ.

დაბოლოს, ისტორიულად ჩრდილო კავკასიაში არსებული კონფლიქტები ხშირად სცდებოდნენ რეგიონის ფარგლებს. მაგალითად, ასეთ კონფლიქტებს შეუძლიათ საქართველოსკენ დაძრან დევნილთა ტალღა, რაც ქვეყნის ეკონომიკისა და სტაბილურობისთვის საზიანო იქნება. ჩრდილო კავკასიაში არასტაბილურობას აგრეთვე შეუძლია ნეგატიური ზეგავლენა მოახდინოს საქართველოს ისეთ ეთნიკურ უმცირესობებზე, როგორებიც არიან პანკისელი ქისტები ან ყვარლელი ხუნძები.

რა უნდა იყოს საქართველოს პრიორიტეტები ჩრდილო კავკასიაში? უნდა აღინიშნოს, რომ ჩრდილო კავკასია არ არის სუვერენული სახელმწიფო და წარმოადგენს რუსეთის ფედერაციის ნაწილს. შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლებამ უნდა მონახოს ოქროს შუალედი საქართველოს რეგიონულ ინტერესებსა და რუსეთის ტერიტორიული მთლიანობის არდაზიანებას შორის. საქართველოს სახელმწიფოს ძირითადი მიზანი აფხაზი და ოსი სეპარატისტების მარგინალიზაცია და მათი ჩრდილოკავკასიელი ნაციონალისტებისგან იზოლაცია უნდა იყოს. მართალია, სეპარატისტებსა და მათ ჩრდილოკავკასიელ პარტნიორებს შორის კონტაქტების სრულად განწყვეტა საკმაოდ რთული ამოცანაა, მაგრამ შესაძლებელია სეპარატისტების იმიჯის საგრძნობლად შელახვა კავკასიელი ხალხების თვალში. დიდი მნიშვნელობა აქვს თურქეთსა და ახლო აღმოსავლეთში მცხოვრებ ჩრდილოკავკასიურ, ძირითადად, ჩეჩნურ და ჩერქეზულ დიასპორასთან დიალოგს, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს დე ფაქტო რეჟიმების მიმართ მათ საერთაშორისო მხარდაჭერას. საქართველოს კარგი ურთიერთობები ზემოხსენებულ ქვეყნებთან ამგვარი დიალოგის მნიშვნელოვანი ხელშემწყობი წინაპირობაა.

კულტურული და სამეცნიერო სფერო ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას წარმოადგენს. საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული ჩრდილოკავკასიური კულტურული და სამეცნიერო ელიტის არაერთი წარმომადგენელი იყო ქართული უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებული. სასტიპენდიო პროგრამებს, სამეცნიერო კონფერენციებს, ფოლკლორულ ფესტივალებსა თუ გამოფენებს შეუძლია მნიშვნელოვნად შეუწყოს ხელი ხალხთა შორის ურთიერთობებს. გარდა ამისა, საქართველოს ჩრდილოკავკასიური პოლიტიკის ეფექტურობა დიდწილად დამოკიდებულია ადამიანურ რესურსზე, რის გამოც ქვეყანას ესაჭიროება ბევრი

პროფესიონალი, რომელიც კარგად ფლობს კავკასიურ ენებს, იცნობს რეგიონის პოლიტიკასა და კულტურას. საქართველოს ასევე აქვს პოტენციალი, რომ იქცეს კავკასიის შესწავლის სამეცნიერო ცენტრად და მოიზიდოს მკვლევრები მთელი მსოფლიოდან.

საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის მიერ წარმოებული ინტენსიური საინფორმაციო ომი აგრეთვე საჭიროებს მწყობრ საინფორმაციო პოლიტიკას ჩრდილო კავკასიაში. საქართველოსათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია რეგიონში პოზიტიური იმიჯის შექმნა, რისთვისაც მას ესაჭიროება ჩრდილოკავკასიელ ხალხებზე გათვლილი ეფექტური ტელევიზია, რადიო და ვებგვერდები. გარდა საქართველოს შესახებ ნეგატიური მითების გაქარწყლებისა, ქართულ მედიას შეუძლია გააშუქოს რეგიონში ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები, რაც უდავოდ გაზრდის ქართული მედიის როლს.

დაბოლოს, საქართველოს ჩრდილოკავკასიური პოლიტიკის ერთ-ერთ საკვანძო კომპონენტს წარმოადგენს ეკონომიკა. დღესდღეობით რეგიონის ბევრი მკვიდრი სტუმრობს საქართველოს მკურნალობისა თუ ბიზნესაქმიანობის მიზნით. ყაზბეგის (სტეფანწმინდის) მუნიციპალიტეტის განვითარება კიდევ უფრო მეტად წაახალისებს რეგიონთან ეკონომიკურ ურთიერთობებს. ეკონომიკური ურთიერთობებისთვის უდავოდ სასარგებლო იქნებოდა ჩრდილო კავკასიასთან სატრანსპორტო კომუნიკაციების განვითარება. ქართულმა აეროპორტებმა უნდა დაიწყონ მუშაობა დიდ ჩრდილოკავკასიურ ქალაქებთან, როგორცაა გროზნო, ნალჩიკი თუ მაჰაჩყალა, პირდაპირი საჰაერო მიმოსვლისათვის. ამასთან, საქართველოს შეუძლია მოიზიდოს ინვესტიცია თურქეთისა და აღმოსავლეთის შეძლებული კავკასიური დიასპორებიდან. საბოლოო ჯამში, ჩრდილო კავკასიელთა ეკონომიკურ აქტიურობას საქართველოში შეუძლია მნიშვნელოვნად წაახალისოს ხალხთა შორის ურთიერთობა და საქართველო აქციოს რეგიონის ლოჯისტიკურ ცენტრად.

ჩრდილო კავკასია საქართველოსათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი რეგიონია. მიუხედავად იმისა, რომ ისტორიის მანძილზე საქართველოს მეზობლად არაერთი სახელმწიფო აღმოცენდა თუ გაქრა, ჩრდილოეთი კავკასია მუდამ რჩებოდა მნიშვნელოვან რეგიონალურ ფაქტორად. ამის გათვალისწინებით, საქართველოს

ესაჭიროება მოკლე და გრძელვადიანი სტრატეგია, რომელიც მიმართული იქნება რეგიონში საქართველოს წონის გაზრდისა და ჩრდილოეთიდან მომდინარე საფრთხეების მინიმუმამდე დაყვანი-სკენ.

შენიშვნები

1. Kwarelskie Avartsı: Vchera, Segodnya, Zavtra [Avarians from Kvareli: Yesterday, Today and Tomorrow], იხ.: www.regnum.ru/news/815707.html (ნანახია 2018 წლის 5 მარტს).
2. Svijet li Chechnyu s Gruziei Argunskaya Doroga? [Should the Argun Road Connect Georgia with Chechnya?], იხ.: www.kavkazr.com/a/svyajet-li-chechnyu-s-gruziez-argunskaya-doroga/28231610.html (ნანახია 2018 წლის 5 მარტს).
3. ინსტიტუცია ნახსენებია მამუკა არეშიძის პროფილში საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე: www.parliament.ge/ge/parlamentarebi/wina-mowvevis-parlamentebi/saqartvelos-parlamenti-1995-1999-ww/mamuka-aresize-45357.page (ნანახია 2018 წლის 5 მარტს).
4. *Izbav nas ot Takikh Druzei. Maskhadov Okrujen* [God save us from such friends. Maskhadov is surrounded], იხ.: www.polit.ru/article/2004/09/29/saakmas1/ (ნანახია 2018 წლის 5 მარტს).
5. *Abhazya Gazısı Açumij Hilimi Abhazya Vatandaşlığı Geri İade Ediyor* [The Veteran of War in Abkhazia Acumij Hilimi Refuses from his Citizenship]. იხ.: www.nartajans.net/site/haberler_5769_abhazya_gazisi_acumij_hilmi_abhazya_vatandasligini_geri_iade_ediyor. (ნანახია 2018 წლის 5 მარტს).
6. *Abkhazo-Adygskii Kruglii Stol S Sukhume* [Abkhazo-Adyghian Round Table in Sukhumi]: იხ.: www.youtube.com/watch?v=f0bNTOqE-SI (ნანახია 2018 წლის 5 მარტს).
7. Youngman M. Moore C. 'Russian-Speaker Fighter in Syria, Iraq and at Home: Consequences and Context. 2017, p. 6